ოქმი:**ო63. 6325036001**
თარიღი:**05/02/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. სამტრედია. 4 თებერვალი, 2025 წელი.

2025 წლის 4 თებერვალს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მაია ტალაბაძე მ.შ, ირაკლი მელაშვილი, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (7 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 4 თებერვლის N62-622503516 წერილობითი მომართვა. მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს, საკრებულოს სხდომაზე განხილული და მიღებული იქნას შემდეგი პროექტები:

1. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის მიზნობრივი

სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ''.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №g-63.632435917 განკარგულება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დადგენილებით (ნორმატიული აქტით) დამტკიცებით, გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 24 იანვრის GOV 2 25 00001693 მომართვით მოცემული რეკომენდაცია. დადგენილების პროექტში გათვალისწინებული იქნა შემდეგი ცვლილება, კერძოდ,

მცირდება;

მუხლი 31. მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მცირეწლოვან ბავშვთა და მოქალაქეთა მკურნალობის დაფინანსება - 100 000 ლარით;

შესაბამისად, იზრდება:

მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 100 000 ლარით;

(მომართვის N62-62250351 , 4/02/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63250353-63 , 4/02/2025** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად ერთობლივად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯომარემ აღნიშნა, რომ ზემოთ წარმოდგენილ მომართვასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიიდან, დამატებით შემოვიდა კორექტირებული ვარიანტი, რომლითაც მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს, შემდეგი პროექტების საკრებულოს სხდომაზე განხილვას და დამტკიცებას:

1.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ". (დადგენილების პროექტი).

2. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №g-63.632435917 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' (განკარგულების პროექტი).

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დადგენილებით (ნორმატიული აქტით) დამტკიცებით, გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 24 იანვრის GOV 2 25 00001693 მომართვით მოცემული რეკომენდაცია.

(მომართვის N62-622503596 , 4/02/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63250357-63 , 4/02/2025** წ.)

აღნიშნული საკითხის განმხილველ კომისიად ერთობლივად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი